სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო

29/01/2016

MES 3 16 00070820

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლის შენობის თაობაზე

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
მინისტრს ქალბატონ თამარ სანიკიძეს

ასლი: წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის
უფროსს მამუკა ჩხეტიანს

ქალბატონო თამარ,

სააგენტოში შემოსული წყალტუბოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსის N1336045 და იმერეთის რეგიონში სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორის N02/3728 (სააგენტოში N47906) წერილების საფუძველზე ჩატარდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოს საჯარო სკოლის შენობის (საკადასტრო კოდი 29.05.35.066) ვიზუალური დათვალიერება. სკოლაში ამჟამად სწავლობს 140 მოსწავლე.

სკოლის, გეგმაში „П"-ს ფორმის შენობა (გაბარიტული ზომებით 38X44 მ) შედგება 1961 წელს აშენებული ძველი შენობისაგან და მასთან 1975 წელს მიშენებული ორი ფლიგელისაგან. დამრეც რელიეფზე მდგარი შენობის აღმოსავლეთი ნაწილი ორსართულიანია, დასავლეთ ნაწილი-ერთსართულიანია. სკოლის შენობა ფლეთილი ქვით და დაბალი (50-ზე მცირე) მარკის წვრილი თლილი (ე.წ. „გვიშტიბის") ბლოკითაა ნაშენი (სამშენებლო ნორმის „სეისმომედეგი მშენებლობა" თავი III, მუხლი 15, პუნქტი 1-ის დარღვევა). ძველი შენობის პერიმეტრული კედლები 40 სმ სისქისაა, შიდა მზიდი კედლების სისქე 20 სმ-ია. მიშენებული ფლიგელების კედლების სისქე 20 სმ-ია (სამშენებლო ნორმის „სეისმომედეგი მშენებლობა" თავი III, მუხლი 15, პუნქტი 10-ის დარღვევა). სკოლის პერიმეტრული კედლების შუაკედლისების სიგანე ბევრ ადგილას 60 სმ-ს არ აღემატება (სამშენებლო ნორმის „სეისმომედეგი მშენებლობა" თავი III, მუხლი 15, ცხრილი 10-ის დარღვევა). შენობის გადახურვის დონეზე ანტისეისმური რ/ბ სარტყლები არ არის მოწყობილი კედლების მთელ პერიმეტრზე (სამშენებლო ნორმის „სეისმომედეგი მშენებლობა" თავი III, მუხლი 15, პუნქტი 7-ის დარღვევა). შენობის გადახურვები, დახურვა და სახურავი ხისაა. სახურავი დაფარულია თუნუქით. სკოლის შენობის აღმოსავლეთ ნაწილის კედლებს აღენიშნება ბზარები და დეპლანირება თავდაპირველი სიბრტყიდან. 2015 წლის 23 დეკემბერს ჩამოიშალა შენობის აღმოსავლეთი ფასადის კედლის ნაწილი (ორი საკლასო ოთახის ზონა). ნგრევამ გამოიწვია საკლასო ოთახების იატაკის და მიმდებარე შუა კედლის ჩამოშლა. არსებობს შენობის აღმოსავლეთ კედლის მთლიანად ჩამონგრევის საშიშროება. სკოლის შენობის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში კედლების დაბზარვა და დეფორმაცია არ აღინიშნება. აღინიშნება ჭერის კონსტრუქციის დაზიანება (ჩამოღუნვა).

ზემოაღნიშნული კონსტრუქციული დარღვევებით ნაშენი, დაზიანებული სკოლის შენობა აღდგენას არ ექვემდებარება. სკოლის შენობა სადემონტაჟოა და სანაცვლოდ ასაშენებელია

ახალი სასკოლო კომპლექსი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე, სააგენტო მზად არის განახორციელოს სკოლის ახალი კომპლექსის საპროექტო დოკუმენდაციის დამუშავება და მშენებლობის განხორციელება.
ახალი სასკოლო კომპლექსის აშენებამდე სკოლის ფუნქციონირებისათვის მოსაძიებელია ალტერნატიული ფართი. ალტერნატიული ფართის მოძიებამდე სკოლის შენობის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში სასწავლო პროცესის დროებით წარმართვა შესაძლებელია, (ამ შემთხვევაში შენობის დაზიანებული აღმოსავლეთი ნაწილი პერიმეტრზე უნდა შემოიფარგლოს დამცავი ღობით, ხოლო შენობის აღმოსავლეთ ნაწილის მომიჯნავე ცენტრალური ნაწილის საკლასო ოთახი და დერეფანი გადაიკეტოს).

პატივისცემით,

სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო
ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო
დირექტორი
გრიგოლ გაგოშიძე

ადრესატები: **კანცელარია სსიპ-საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო**